ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საქართველოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში

სექტემბერი, 2015

კვლევა განხორციელდა პროექტ "**საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge"- ფარგლებში**

პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ფონდი ღია საზოგადოება საქართველო და ღია საზოგადოების ფონდები

*ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI) და არ გამოხატავს **ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“** და **ღია საზოგადოების ფონდების** პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ არიან პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე.*

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების მიხედვით ყველას, განურჩევლად სქესისა, აქვს საჯარო სამსახურში დასაქმების თანაბარი უფლება, ქალთა წარმომადგენლობა, განსაკუთრებით გადაწყვეტილებების მიმღებთა შორის ხელმძღვანელ პოზიციებზე, საჯარო მმართველობის დონეზე ჯერ კიდევ გამოწვევაა მთელი მსოფლიოსთვის და მათ შორის საქართველოსთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამართლებრივი ბაზა, ბოლო რამდენიმე წელია მეტ-ნაკლებად უახლოვდება ევროპული ქვეყნების პრაქტიკას ქალების სოციალურ-ეკონომიკური როლის გაზრდის მიმართულებით. კანონით განსაზღვრული რეგულაციების მიხედვით საქართველოში გენდერული დისბალანსის მიმართ ცალსახა დამოკიდებულებაა. 2010 წელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ და შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომლის მთავარი არსი სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობაა. ამავე კანონში ჩადებულია შრომით ურთიერთობებში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მექანიზმები, კერძოდ ის, რომ სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს დასაქმების თანაბარ ხელმისაწვდომობას ორივე სქესის პირთათვის. ამასთან, პარლამენტში არსებობს გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც მუდმივმოქმედ ორგანოს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, საკანონმდებლო თვალსაზრისით პროგრესი მიღწეულია, თუმცა სქესთა შორის უთანასწორობის პრობლემის აქტუალიზაცია საჯარო და პოლიტიკურ სისტემებში მეტ ყურადღებას მოითხოვს როგორც სახელმწიფოს, ისე სამოქალაქო სექტორისა და საზოგადოების მხრიდან.

საკითხისადმი არსებული მაღალი საჯარო ინტერესის გამო ინსტიტუტი უკვე მეორე წელია იკვლევს გენდერულ სტატისტიკას, რომელიც ასახავს გენდერული თანასწორობის ვითარებას საჯარო სექტორში. კვლევის ფარგლებში IDFI შეეცადა გაერკვია რამდენად უზრუნველყოფილია გენდერული თანასწორობა საქართველოს საჯარო დაწესებულებებში. კვლევაში ცალ-ცალკე არის წარმოდგენილი მონაცემები სამინისტროებსა და მათ დაქვემდებარებულ სსიპ-ებში, დამოუკიდებელ სსიპ-ებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ თანამშრომელთა გენდერული თანაფარდობის შესახებ.

კვლევაში არსებული სტატისტიკა ასახავს **2015 წლის მარტის თვის მონაცემებით** საჯარო სექტორში არსებულ გენდერულ ასპექტებს.

როგორც ცნობილია, 2013 წლის 1 სექტემბერს ძალაში შევიდა, საქართველოს მთავრობის 26 აგვისტოს №219 დადგენილება ,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“. აღნიშნული დადგენილება მიღებული იქნა IDFI-ის რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო გენდერულ საკითხებზე ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების უზრუნველყოფა. აღნიშნული დადგენილების შესაბამისად საჯარო უწყებები ვალდებულნი არიან პროაქტიულად გამოაქვეყნონ დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ მონაცემები გენდერულ ჭრილში, კატეგორიების მიხედვით, შესაბამისად, რამდენიმე საჯარო დაწესებულების შემთხვევაში მონაცემები აღებულია მათი ოფიციალური ვებ-გვერდებიდან. თუმცა, სამწუხაროდ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უწყებების ვებ-გვერდების ანალიზმა, აჩვენა, რომ ზოგიერთი დაწესებულება სათანადოდ ვერ ასრულებს მთავრობის დადგენილებით მათზე დაკისრებულ

ვალდებულებას და არასრულყოფილად აქვეყნებს ან საერთოდ არ ანახლებს გენდერული ბალანსის შესახებ საკუთარ მონაცემებს. კვლევის პერიოდში ინსტიტუტმა მხოლოდ **29 საჯარო დაწესებულების** შემთხვევაში შეძლო მათი ვებ-გვერდიდან განახლებული გენდერული სტატისტიკის მოძიება.

დამატებით, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული სტატისტიკის გასარკვევად ინსტიტუტმა მიმართა საქართველოს **133 საჯარო დაწესებულებას** და მათ გაუგზავნა იდენტური შინაარსის შემდეგი სახის ორი მოთხოვნა:

1) **შტატით გათვალისწინებულ და შტატგარეშე თანამშრომელთა (ცალ-ცალკე) რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);**
2) **ხელმძღვანელ პოზიციებზე (განყოფილების უფროსი და ზემოთ) დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა).**

133 საჯარო დაწესებულებისათვის გაგზავნილი 266 მოთხოვნიდან ინსტიტუტმა სრულყოფილი პასუხი მიიღო 224 მოთხოვნაზე, არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 8 შემთხვევაში, ხოლო უპასუხოდ დატოვებული იქნა 34 მოთხოვნა.



წინამდებარე კვლევაში თავმოყრილია მონაცემები საქართველოს **141 საჯარო დაწესებულებაზე**. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა გაგზავნილ მოთხოვნებზე სრულყოფილი ინფორმაცია მიიღო 112 საჯარო დაწესებულებიდან, ხოლო 29 საჯარო დაწესებულების შემთხვევაში, მონაცემები აღებულია მათი ოფიციალური ვებ-გვერდებიდან.

ინსტიტუტისთვის მოწოდებული ინფორმაციისა და ვებ-გვერდებიდან დამუშავებული მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ საქართველოს **141 საჯარო დაწესებულებაში** ფაქტობრივად დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა ჯამში შეადგენს **72 726** ადამიანს (მათ შორის შესულია ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულთა მონაცემებიც). 141 საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა შორის **27 383** დასაქმებულია მთავრობის ადმინისტრაციასა და სამინისტროებში (სახელმწიფო მინისტრების აპარატების ჩათვლით), **407** აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატსა და სამინისტროებში, **33 117** სამინისტროების დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში (56 დაწესებულება), **5 174** ადგილობრივ თვითმმართველობებში (42 მერია და გამგეობა), **5 488** დამოუკიდებელ სსიპ-ებსა და კომისიებში (17 დაწესებულება), ხოლო **1 157** პარლამენტის აპარატსა და მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროებში. **ამასთან, ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც რომ წინამდებარე მასალაში წარმოდგენილი ნებისმიერი მონაცემი ასახავს მხოლოდ 141 საჯარო დაწესებულებაში (ძალოვანი სტრუქტურების ჩათვლით) 2015 წლის მარტის მდგომარეობით არსებულ სურათს.**

131 საჯარო დაწესებულებაში (გარდა ძალოვანი სტრუქტურებისა) დასაქმებულ თანამშრომელთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში

"გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მიხედვით სახელმწიფო ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. როგორც მონაცემებიდან ირკვევა, საქართველოს საჯარო დაწესებულებებში ძალოვანი სტრუქტურების გარდა ჯამში დასაქმებულია **31078** საჯარო მოსამსახურე. აღნიშნული რაოდენობა წარმოდგენილია საქართველოს **131** სახელმწიფო დაწესებულებაში.

გენდერული თანასწორობის მიმართულებით, საქართველოს საჯარო დაწესებულებებში შემდეგი სურათია:

საჯარო მოსამსახურეთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში (ძალოვანი სტრუქტურების გარდა)

www.idfi.ge

14 637

კაცი

47.1%



16 441

ქალი

52.9%

2 180	პარლამენტი, მთავრობის ადმინისტრაცია და სამინისტროები	3 047
9 142	სსიპ-ები და საქვეუწყებო დაწესებულებები	11 128
3 315	რეგიონები (მერია, გამგეობა, აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატი და სამინისტროები)	2 266

როგორც ინფოგრაფიკიდან გამოჩნდა საჯარო დაწესებულებებში (ძალოვანი სტრუქტურების გარდა) დასაქმებულ მამაკაცთა რაოდენობა ქალთა რაოდენობას აჭარბებს მხოლოდ რეგიონების შემთხვევაში, სადაც თავმოყრილია აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატისა და სამინისტროების და 42 მერიისა და გამგეობის მონაცემები. აღნიშნულ რეგიონულ უწყებებში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა შეადგენს მხოლოდ 40,6%-ს. საქართველოს პარლამენტის, მთავრობის ადმინისტრაციასა და სამინისტროების შემთხვევაში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა შეადგენს 58,3%-ს, ხოლო სსიპებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების შემთხვევაში - 54,9%-ს.



„საქართველოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ თანახმად სახელმწიფომ აიღო ვალდებულება იზრუნოს გადაწყვეტილების მიღებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობაზე სამინისტროებსა და სხვა საჯარო სტრუქტურებში მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, რაც გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობისა და მონაწილეობის გაზრდას. ამ ვალდებულების შესასრულებლად, სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ საქმიანობად განსაზღვრულია მაღალ თანამდებობებზე ქალთა დანიშვნის ანალიზი და ხელის შემშლელი ფაქტორების გამოვლენა. სახელმწიფომ აღნიშნული გეგმის ფარგლებში კონკრეტული ნაბიჯების გადადგმით ორიენტირი უნდა აიღოს აღმასრულებელ ორგანოებში, მაღალ თანამდებობრივ პოზიციებზე ქალთა რაოდენობის გაზრდაზე.

2013 წელს გამოქვეყნებული კვლევის „საზოგადოების დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით მომზადდა, პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად გადაწყვეტილების მიმღებთა შორის ქალთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელია დასახელებული. პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის დაბალ დონეზე მიუთითებს NDI-ს ანგარიშებიც (2012წლის, ასევე 2013 წლისა და 2014 წლის).

აღსანიშნავია, რომ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს წარმოდგენილი აქვს მკაფიო რეკომენდაციები საქართველოში აღმასრულებელ ორგანოებში ქალთა სათანადო წარმომადგენლობის აუცილებლობაზე.

ევროსაბჭოს კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში ქალთა თანაბარი წარმომადგენლობის მნიშვნელობის ხაზგასმისკენ და იმ პირობების შექმნისკენ, რომელიც ხელს შეუწყობს ქალების აქტიურ მონაწილეობას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.

ბოლო წლებში, არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია მიმართავდა რეკომენდაციით საქართველოს ხელისუფლებას, გაეზარდათ დასაქმებულ ქალთა რაოდენობა, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლების დონეზე. შესაბამისად ჩვენთვის საინტერესო იყო აგრეთვე ის, თუ რამდენად ითვალისწინებს საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების რეკომენდაციებს. აქედან გამომდინარე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) დაინტერესდა იმით, თუ რამდენად არის დაცული გენდერული ბალანსი გადაწყვეტილების მიმღებთა დონეზე და როგორია ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალთა და მამაკაცთა წარმომადგენლობა.

2015 წლის მარტის თვისათვის, საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, გარდა ძალოვანი სტრუქტურებისა, ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულია ჯამში 3 726 პირი, საიდანაც ქალთა რაოდენობაა - 1 331, ხოლო მამაკაცების - 2 395.

ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში

(ძალოვანი სტრუქტურების გარდა)

www.idfi.ge





ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულთა გადანაწილება დაწესებულებათა სახეების მიხედვით

(ძალოვანი სტრუქტურების გარდა)

www.idfi.ge

დაწესებულება			ჯამი
სამინისტროების დაქვემდებარებული სსიპ-ები	869	571	1 440
ადგილობრივი თვითმმართველობები (მერია, გამგეობა)	746	303	1 049
მთავრობის ადმინისტრაცია და სამინისტროები	473	300	773
დამოუკიდებელი სსიპ-ები	221	127	348
აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატი და სამინისტროები	86	30	116

როგორც მიღებული მონაცემებიდან იკვეთება, მთავრობის ადმინისტრაციასა სამინისტროებში ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებული 773 საჯარო მოსამსახურიდან 300 ქალია, ხოლო 473 მამაკაცი, სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ-ებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ 1 440 საჯარო მოსამსახურეს შორის ქალები წარმოდგენილნი არიან 571-ით, ხოლო მამაკაცები 869-ით. 348 საჯარო მოსამსახურეა დასაქმებული დამოუკიდებელი სსიპების ხელმძღვანელ პოზიციებზე, რომელთაგან 127 ქალია და 221 მამაკაცი. ადგილობრივ თვითმმართველობებში (მერია, გამგეობა) ხელმძღვანელ პოზიციებზე (განყოფილების უფროსი და ზემოთ) დასაქმებულ 1 049 პირს შორის, მხოლოდ 303 ქალია, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატსა და სამინისტროებში ხელმძღვანელ პოზიციებზე მყოფ 116 პირს შორის ქალთა რაოდენობა შეადგენს მხოლოდ 30-ს.

საჯარო დაწესებულების სახეების მიხედვით **ნებისმიერ შემთხვევაში ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ მამაკაცთა რაოდენობა აღემატება ხელმძღვანელ პოზიციებზე მყოფ ქალთა რაოდენობას.** განსაკუთრებით დიდი სხვაობა გამოჩნდა რეგიონების შემთხვევაში. ადგილობრივ თვითმმართველობებში მამაკაცთა პროცენტული წილი 71.1%-ია, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატსა და სამინისტროებში - 74.1%.

ინსტიტუტი ასევე ითხოვდა ინფორმაციას, როგორც შტატით, ისე შრომითი ხელშეკრულებით (შტატგარეშე) დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ. დღეისათვის, საქართველოს 131 საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულია 4 213 შტატგარეშე მოსამსახურე რომელთაგან 1 936 ქალია, ხოლო 2 277 კაცი.

www.idfi.ge

4 213

შტატგარეშე მოსამსახურე

= **საქართველოს 131 საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულთა**



დაწესებულების სახე			**საერთო რაოდენობა**
სამინისტროების სსიპ-ები და საქვეუწყებო დაწესებულებები	1 238	751	1 989
დამოუკიდებელ სსიპ-ები	379	733	1 112
მთავრობის ადმინისტრაცია და სამინისტროები	352	282	634
ადგილობრივი თვითმმართველობები (მერია, გამგეობა)	176	120	296
პარლამენტის აპარატი	116	42	158
აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატი და სამინისტროები	16	8	24

საქართველოს ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში

გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონი განმარტავს, რომ დასაქმებისას და შრომითი მოვალეობების შესრულებისას დასაშვებია სქესის ნიშნით პირთა არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება ან/და მათთვის უპირატესობის მინიჭება, მხოლოდ მაშინ თუ ის გამომდინარეობს სამუშაოს სპეციფიკიდან, არსიდან ან მისი შესრულების პირობებიდან. იმ საჯარო დაწესებულებებს შორის, რომლებმაც ინსტიტუტის მიერ გაგზავნილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილი დააკმაყოფილეს ძალოვან სტრუქტურებს წარმოადგენენ:

- **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სრული სისტემა**
- **საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი**
- **საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური**
- **საქართველოს დაზვერვის სამსახური**

აღნიშნულ საჯარო დაწესებულებებში სულ დასაქმებულია 41 648 საჯარო მოსამსახურე, რომელთაგან 35 952 მამაკაცია, ხოლო 5 696 ქალი.

იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც საქართველოს ძალოვანი სტრუქტურებიდან მივიღეთ და მათ ოფიციალურ ვებ გვერდებზე მოვიძიეთ გენდერული მდგომარეობა, მათ შორის ხელმძღვანელობის დონეზე, შემდეგნაირია:

www.idfi.ge

ძალოვანი სტრუქტურები

5 696

35 952

41 648 მოსამსახურე

კაცი ქალი

	კაცი	ქალი
შინაგან საქმეთა სამინისტროს სრული სისტემა (მომსახურების სააგენტოს გარდა)	33 560	5 196
თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი	232	192
სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	2 015	262
დაზვერვის სამსახური	145	46

ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში

2 606

2 397 = 92%

209 =8%

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს საჯარო დაწესებულებებში, რომლებიც არ მიეკუთვნება სპეციფიკურ ძალოვან სტრუქტურებს, დასაქმებულ მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა თითქმის თანაბარია. აქვე უნდა ითქვას, რომ IDFI-ის მიერ 1 წლის წინ „საჯარო მოსამსახურეთა სტატისტიკის გენდერულ ჭრილში“ ჩატარებული კვლევის მონაცემების ცვლილება მკვეთრად არ მომხდარა. **განსხვავებული მდგომარეობაა ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულების შემთხვევაში, სადაც მამაკაცთა წარმომადგენლობა გაცილებთ მაღალია ვიდრე ქალების. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთელი რიგი უწყებების შემთხვევაში შარშანდელ მონაცემთან შედარებით, ვითარება გაუარესებულია.**

საქართველოში განსაკუთრებით რთული ვითარებაა გადაწყვეტილების მიმღებთა დონეზე, სადაც მამაკაცთა რაოდენობა მკვეთრად ჭარბობს ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშნულ ქალთა რაოდენობას. სწორედ იმის გამო, რომ ქალთა ჩართულობა სახელმწიფოს მმართველ ინსტიტუტებში სხვადასხვა ბარიერთან არის დაკავშირებული, კვოტირების სისტემა, როგორც ამ ბარიერის დაძლევის დროებითი ზომა, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში წარმატებულად მუშაობს. ევროკავშირის წამყვანი სახელმწიფოები საკანონმდებლო გზით კვოტირებას არა მხოლოდ სხვადასხვა დონის არჩევნებისას იყენებენ, არამედ შიდაპარტიული ხელმძღვანელობის არჩევის დროსაც. საერთაშორისო პრაქტიკიდან ნათლად ჩანს, რომ კარგად შემუშავებული კვოტირების სისტემის დანერგვა ხელს უწყობს ქალთა წარმომადგენლობის ზრდას პარლამენტში. ასეთი პრაქტიკა კი სკანდინავიის ქვეყნებში უკვე აპრობირებული და დანერგილი პროცესია, სადაც ქალების მონაწილეობა პოლიტიკაში ერთ-ერთ ყველაზე მაღალია. NDI-ის მონაცემებით, საქართველოს საზოგადოების 68% მხარს უჭერს პარლამენტში სავალდებულო გენდერული კვოტის დამკვიდრებას. გაეროს ქალთა ორგანიზაციის 2014 წლის მონაცემების მიხედვით პარლამენტში ქალთა რაოდენობის მიხედვით საქართველო 145 ქვეყნიდან 109-ე ადგილს იკავებს, 12%-იანი ნიშნულით, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალების წარმომადგენლობა პარლამენტში ნომინალურია და 150-დან მხოლოდ 18-ს შეადგენს. საქართველო ეუთოს რეგიონის ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებს შორისაა. ასეთივე სურათია აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზეც. აღნიშნული მაჩვენებლები ცალსახად ძალიან დაბალია მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონთან და ქვეყნების უმრავლესობასთან შედარებით.

IDFI მოუწოდებს ხელისუფლებას, ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებს და პოლიტიკურ პარტიებს, ქმედითი ნაბიჯები გადადგან გენდერული თანასწორობის კუთხით და მაქსიმალურად უზრუნველყონ ქალთა მონაწილეობის გაზრდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც პირდაპირ კავშირშია გადაწყვეტილებების მიღების დროს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესების გატარებასთან. გარდა ამისა, ინსტიტუტი მოუწოდებს საქართველოში არსებულ საჯარო დაწესებულებებს შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება და სხვა პუნქტებთან ერთად, პროქტიულად გამოაქვეყნონ დასაქმებულ თანამშრომელთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში, რაც გაადვილებს მონიტორინგის ჩატარებას და გამჭვირვალეს გახდის საჯარო სექტორში დასაქმებულთა შესახებ ინფორმაციას.

საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულები გენდერულ ჭრილში




სსიპ-ები და საქვეუწყებო დაწესებულებები
დაცვის პოლიცია 604 10690
სასაზღვრო პოლიცია 515 3253
შემოსავლების სამსახური 1616 1726
სოციალური მომსახურების სააგენტო 1588 678
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 755 516
სურსათის ეროვნული სააგენტო 316 803
ეროვნული მუზეუმი 520 323
იუსტიციის სახლი 487 112
ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი 431 134
საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა 406 75
დაცული ტერიტორიების სააგენტო 80 399
ეროვნული არქივი 357 89
ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური 127 314
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი 299 132
სსიპ "112" 309 126
აღსრულების ეროვნული ბიურო 148 268
გარემოს ეროვნული სააგენტო 233 177
პრობაციის ეროვნული სააგენტო 176 198
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო 148 177
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო 132 149
საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური 178 66
შსს აკადემია 132 108
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი 59 175
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი 110 78
სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო 104 76
ფინანსთა სამინიტროს მომსახურების სააგენტო 64 107
საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო 59 104
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია 87 46


მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
82
50
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
90
42
მუნიციპალური განვითარების ფონდი
44
82
შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური
96
23
საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
42
72
საფინანსო ანალიტიკური სამსახური
40
68
სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
48
54
ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი
50
51
ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
65
32
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
61
29
იუსტიციის სასწავლო ცენტრი
50
34
სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური
29
53
დანაშაულის პრევენციის ცენტრი
46
32
სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
30
48
საკანონმდებლო მაცნე
53
25
ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი
26
49
ღვინის ეროვნული სააგენტო
27
44
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
28
15
სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
23
36
ნოტარიუსთა პალატა
28
13
მონაცემთა გაცვლის სააგენტო
9
27
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი
18
13
ფინანსთა სამინისტროს აკადემია
15
13
აკრედიტაციის ცენტრი
10
9
ბავშვთა ფონდი
11
7
ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნების საინვესტიციო ცენტრი
8
5
ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის..
6
6
შსს-ს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი
6
6


დამოუკიდებელი სსიპ-ები და კომისიები
სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური
262
2015
"საქსტატი"
726
254
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
204
231
ეროვნული ბანკი
152
190
სახელმწიფო აუდიტის სამსახური
155
187
დაზვერვის სამსახური
46
145
იურდიული დახმარების სამსახური
86
86
"ცესკო"
67
70
"საქპატენტი"
85
42
"სემეკი"
41
68
სახალხო დამცველის აპარატი
55
36
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
34
33
საჯარო სამსახურის ბიურო
23
11
საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
15
17
ფინანსური მონიტორინგის სამსახური
10
13
საგადასახადო ომბუდსმენის აპარატი
4
7


აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატი და სამინისტროები
აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატი
44
67
აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
42
60
აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
35
31
აჭარის ა/რ-ის სოფლის მერეობის სამინისტრო
16
49
აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
37
26

ადგილობრივი თვითმმართველობები (მერია, გამგეობა)




დუშეთის გამგეობა
39
58
ბაღდათის გამგეობა
33
57
ბორჯომის გამგეობა
42
46
ონის გამგეობა
32
54
შუახევის გამგეობა
20
63
ადიგენის გამგეობა
25
56
თიანეთის გამგეობა
32
49
სენაკის გამგეობა
32
36
ქედის გამგეობა
22
46
ასპინძის გამგეობა
27
36
მარტვილის გამგეობა
14
49
მესტიის გამგეობა
22
39


საქართველოს პარლამენტი
პარლამენტის აპარატი (შტატი)
379
199
პარლამენტის აპარატი (შტატგარეშე)
42
116
საპარლამენტო ფრაქციების აპარატები
51
29
საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის აპარატები
9
1
მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროები
170
161